

GEOSIM (ინსტრუქცია)

სიმ ბარათის აქტივაცია - ჩადებთ სიმ ბარათს მობილურ ტელეფონში, დააცადეთ რამოდენიმე წამი და სიმ ბარათი ავტომატურად დარეგისტრირდება ადგილობრივ ქსელში.

იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხდა ავტომატური აქტივაცია, შესაძლებელია ხელის რეჟიმით (manual) რეგისტრაცია (settings < mobile networks < network operators > automatic / manual search).

დარეგისტრირების წესი: სასურველი ნომრის აკრეფის შემდეგ დააჭირეთ ok, დაელოდეთ რამოდენიმე წამი, თქვენთან შემოვა ზარი, დააჭირეთ ისევ ok და ისაუბრეთ.

- საქართველოს მობილურზე დარეგისტრირება: +995 5XX XX XX XX ან 5XX XX XX XX.
- საქართველოში ფიქსირებულ ტელეფონზე დარეგისტრირება: 0, ქალაქის კოდი, აბონენტის ნომერი ან +995 ქალაქის კოდი, აბონენტის ნომერი.
- სხვა ქვეყნებში დარეგისტრირება საერთაშორისო ფორმატით, + ან 00, ქვეყნის კოდი და ნომერი.

როგორ დამირეკონ ?

- საქართველოს მობილური ნომრიდან დაგირეკავენ იგივენაირად როგორც ირეკება ნემისმიერ ქართულ მობილურ ნომერზე 5XX XX XX XX.
- საქართველოს ქალაქის ნომრიდან დაგირეკავენ იგივენაირად როგორც ირეკება ასევე ნემისმიერ ქართულ მობილურ ნომერზე 0 5XX XX XX XX.
- სხვა ქვეყნების სატელეფონო ნომრებიდან დაგირეკავენ საერთაშორისო ფორმატით: + ან 00, შემდეგ 995 550 XX XX XX.

სმს შეტყობინება 0.01\$ -ად GEOSIM მენიუდან: ტელეფონის მენიუში , პარამეტრებში ან აპლიკაციებში ნახავთ SIM მენიუს. აირჩიეთ SIM menu-ში Send sms, შეიყვანეთ სასურველი ტელეფონის ნომერი, შემდეგ ტექსტი და ok.

ბალანსის შემოწმება: აკრიფედ *100# ok **ნომრის გაგება:** აკრიფედ *101# ok

სერვისის „გთხოვ დამირეკე“ : აკრიფეთ *115* ნომერი საერთაშორისო ფორმატით # ok.

როგორ შევავსო ბალანსი? ბალანსის შევსება შესაძლებელია საქართველოში არსებული სწრაფი გადახდის აპარატებიდან (TBC PAY, EXPRESS PAY), ინტერნეტ ბანკინგიდან , ასევე ვებ გვერდიდან www.geosim.ge და www.mypay.ge

მობილური ინტერნეტის აქტივაცია:

მობილური ინტერნეტის აქტივაციისთვის საჭიროა თქვენი ტელეფონის პარამეტრებიდან (Settings-დან) წაშალოთ ნებისმიერი სხვა ოპერატორის GPRS პარამეტრები და გაწეროთ ახალი. APN - ში ჩაწერეთ - internet

მაგალითად: GPRS პარამეტრების გაწერა iPhone- სა და Samsung Galaxy - ში.

iPhone < menu < settings < cellular < cellular Data on < Data Roaming on < cellular Data Network < cellular Data; APN - ში ჩაწერეთ - internet ; (Username , Password - დატოვეთ ცარიელი)

Samsung Galaxy < menu < settings < more networks < mobile networks < access point names < add new APN; APN - ში ჩაწერეთ - internet ; (Username , Password - დატოვეთ ცარიელი);

Mobile data – on; Data roaming – on.

GEOSIM -ინტერნეტ პაკეტები

Geosim მომხმარებლებს საზღვარგარეთ მოგზაურობისას შეუძლიათ ისარგებლონ შემდეგი ინტერნეტ პაკეტებით:

| MB | ფასი USD | მოქმედების ვადა | პაკეტის ჩართვა: |
|------|----------|---------------------|-----------------|
| 200 | 5 | აქტივაციიდან 7 დღე | *133*1# ok |
| 500 | 9 | აქტივაციიდან 14 დღე | *133*2# ok |
| 1000 | 15 | აქტივაციიდან 30 დღე | *133*3# ok |
| 2000 | 27 | აქტივაციიდან 30 დღე | *133*6# ok |
| 3000 | 35 | აქტივაციიდან 30 დღე | *133*4# ok |

პაკეტის ვადის და დარჩენილი MB -ის შემოწმება: ***133#**

ინტერნეტ პაკეტები მოქმედებს შემდეგ ქვეყნებში:

აშშ, ავსტრია, ავსტრალია, ალბანეთი, ბელგია, ბელორუსია, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ბრაზილია, ბულგარეთი, გაერთიანებული სამეფო (ინგლისი), გერმანია, გიბრალტარი, გვადალუპე, გრენლანდია, გვატემალა, დანია, დომინიკის რესპუბლიკა, ესტონეთი, ესპანეთი, ეგვიპტე, ელ-სალვადორი, თურქეთი, ირლანდია, ირანი, ისლანდია, ისრაელი, ინდონეზია, კანადა, კვიპროსი, კატარი, კოსტა რიკა, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, ლიხტენშტეინი, მალაიზია, მალტა, მექსიკა, ნიდერლანდები, ნორვეგია, პანამა, პერუ, პორტუგალია, პოლონეთი, პუერტო რიკო, რუმინეთი, რუსეთი, რეიუნიონი, საფრანგეთი, საბერძნეთი, საუდის არაბეთი, სინგაპური, სლოვაკია, სლოვენია, სამხრეთ აფრიკა, სამხრეთ კორეა, სომხეთი, ტაილანდი, ტაივანი, უკრაინა, უნგრეთი, ურუგვაი, ფინეთი, ქუვეითი, შვედეთი, შვეიცარია, ჩეხეთის რესპუბლიკა, ჩინეთი, ჩილე, ხორვატია, ჰონგკონგი.

ცნობისათვის: 1 MB ინტერნეტი მაგალითად, საკმარისია WhatsApp აპლიკაციით 2,5 წუთის მანძილზე ხმოვანი კავშირისთვის, ხოლო Viber-ის შემთხვევაში საკმარისია 1,5 წუთის მანძილზე.

უფასო ონლაინ მხარდაჭერა: თქვენი “GEOSIM” ნომრიდან დარეკეთ (+995 32) 220 70 20 და ისაუბრეთ პირველი 3 წუთი უფასოდ ნებისმიერი ქვეყნიდან, ან მოგვწერეთ info@geosim.ge

ტარიფების და სერვისების შესახებ სრული ინფორმაცია, იხილეთ ვებგვერდზე www.geosim.ge